განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის
პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ „საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი დებულების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი ადეკვატურად არ არის უზრუნველყოფილი შრომის ანაზღაურებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების ადეკვატური უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს „საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, საქართველოს პრეზიდენტისათვის, დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ზრდას და შესაბამისად, მისი ახალი ოდენობით განსაზღვრას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დაფინანსების წყარო არის სახელმწიფო ბიუჯეტი

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მიმდინარე წლისათვის არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, რადგან პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების დაფინანსება მოხდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. ხოლო 2014 წელს დაფინანსება განხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინიტრაციისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგი აისახება საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურებაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი დავით საგანელიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი დავით საგანელიძე